

ბრძოლა

14



ნახ. დ. ბრინთაშვილი

— ქლის არ ამოვიხსნებო?!. მთელი რაიონი იჯარით გავაყენო..

ქვეყნის

სინამორბეებს



შენი

ჩატახილი ხიდი

წინა კაც კი უკანას ხიდიო, უთქვამთ, მაგრამ ზოგჯერ წინა კაცს, ანუ წინამორბედს, იმდენზეც ვერ ენდობი, რომ მის მიერ გავლილ ხიდზე დაქვების გარეშე გაიარო!..

გაუვლია, წასულა შენი წინამორბედი, შენთვის კი საკანკალოდ დაუტოვებია ალაგ-ალაგ ჩატახილი, მოფამფალეული ხიდი!..

ამას ისევე როგორც მთელ საქართველოში, **ხაშურშიც გრძნობენ რაიონის სამართალდამცავი ორგანოები, როცა მინით სარგებლობის წინა წლების სავალალო პრაქტიკის გადასინჯვა უხდებათ!**..

საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის და სახალხო დემუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის გვერდით მინის მოქმედი კანონმდებლობის უხეშ დარღვევებს სწავლობს ხაშურის სატრანსპორტო პროკურატურაც.

დღესდღეობით გამოვლენილია, რომ რკინიგზის ზოლში ხაშურის რაიონის მცხოვრებთა მიერ მითვისებულია 7,6 ჰექტარი მიწა.

ხარაგოლის რაიონის მცხოვრებნი უფრო შორს წასულან: უფიქრიათ, რაკი ამ მიწას რკინიგზის განთვისების ზოლი ჰქვია, მითვისება უფრო იოლად შეიძლებაო და 14,3 ჰექტარი მიუთვისებიათ,

განთვისების ზოლი აუთვისებიათ აგრეთვე „ცეკავშირის“ ხარაგოლის რაიონის კოოპერატივის სატყეო და საშენი მასალების მოლითის საავეჯო მალაზია-საწყობსა და დაბა ხარაგოულის ავტოსადგურს.

ხაშური-სურამის ხაზზე ხაზგასმით წამოუჭიმავს თავისი საცხოვრებელი სახლის აივანი სარქის ივანეს ძე ბაინდუროვს. ამ აივნიდან ფრიად მოხერხებულია ცხვირსახოცი დაუქნიო იქვე გამავალი მატარებლების მგზავრებს, გაიცნო და დაიმეგობრო ისინი!..

რეზო ვახტანგის ძე კობალაძეს კი არც ხელის და არც ცხვირსახოცის დაქნევის საშუალება არა აქვს, რადგან დამხმარე სათავსოები ჩაუდგამს და, აბა, იქიდან მგზავრებს როგორ დაენახვება?!

ზოგს უფიქრია, მინის ზევიდან ხომ არაფერს შეუშლის ხელსო და რკინიგზის განთვისების ზოლში საფლავეები მოუწყვია!

განთვისების ზოლის თვითნებური მითვისების აღკვეთა გრძელდება!..

თითოედა კბენანი

ხაშურის რაიონული საბჭოს აღმასკომი ქმედით ლონისძიებებს ატარებს ადრე მომხდარი დარღვევების აღსაკვეთად და ახალი გადახრების პროფილაქტიკისათვის.

კურიოზები კი სოკობივით ხან აქ, ხან იქ ამოყოფენ ხოლმე თავს.

მოქალაქე **ტაბატაძე ბინის** აღრიცხვაზე აყვანილია 1973 წელს, საამისოდ საჭირო ყველა ცნობა კი წარდგენილი აქვს მხოლოდ 1982 წელს.

ასევე, ზოგ შემთხვევაში, ფრიად ორიგინალური გადაწყვეტით განცვიფრებს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის საკარმიდამო მიწის ნაკვეთების განაწილების პრობლემა.

აქ გადამწყვეტ ფაქტორად გვევლინება ვახილმძღვანელის წინდახედულება და ქვეშაგახედულება, რომ აღარაფერი ვთქვათ უკანგახედულებაზე!..

თავის დროზე, 1987 წელს, ასე მიუღიათ მიწის ნაკვეთები და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული გადაწყვეტილებით საფუძველი ჩაუყრიათ საცხოვრებელი ბინებისათვის მოქალაქეებს **ნ. ენუქიძეს, ტ. თედეშვილს, მ. თედეშვილს, ზ. გინოშვილს, ტ. კუბლაშვილსა და ნ. ფილიშვილს.**

როგორც იტყვიან, წამხდარსა საქმეს ვერ შევლის მერე თითზედა კბენანი!

ამას კი მოსდევს უკანონობით ჩაგრულთა ჩივილი, ვერ მოთმენანი!

ხაშურში საქმეა აუურში!..

ქალაქ ხაშურში მიწათსარგებლობის საქმეები მოყვანილია აუურში, კანონის ხმა ზოგს შესდის ამ ყურში და გასდის იმ ყურში.

ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს კი გვიან გაახსენდათ, რომ მათაც აქვთ ყურები და კარგად ეყურებათ, რაც მათ ირგვლივ საყურადღებო საქმეები ხდება.

ლუარსაბსაც კი უყვარდა ბიჭების დანიოკება, გვიან-გვიან, მაგრამ მაინც დააწიოკებდა ხოლმე თავგასულებსა, ოღონდ თანმიმდევრული არ იყო ლუარსაბი, ერთს კი დააწიოკებდა, მაგრამ მერე თვითონვე ავიწყდებოდა, თუ რის გამო დააწიოკა.

ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებმა ბოლო ორ წელიწადში თავგასულების ორიოდ დანიოკებით უკან დაიბრუნეს მათგან მიტაცებული 25 ჰექტარი მიწა. **ფლევის საბჭოთა მეურნეობის თავკაცებმა** კი მთლად ლუარსაბის დონეზე ვერ შესძლეს თავგასულების დანიოკება, წინა წლებში: მავანთა და მავანთა მიერ მიტაცებული 25 ჰექტარი სავარგულიდან ჯერჯერობით მხოლოდ 12,5 ჰექტარი აითვისეს.

მინის უკანონოდ მიმტაცებლებს აწიოკებენ და ვერც აწიოკებენ ცხრამუხის საბჭოთა მეურნეობაში, წრომის, ცოცხნარის, „ზემოქართლის“, ოსიაურის კოლმეურნეობებში, ხოლო სურამის კოლმეურნეობაში ცალკეული პირების (ს. დევაძე, ვ. ღონდაძე) ხელში მიწა-მარჩენალი გაჩუქება-გასხვისების საგანიც კი გამხდარა!..

ქალაქელს ხუთი გრძნობა აქვს, სოფელს — ექვსი და ეს შეეძვება მინის გრძნობააო! დიდი ქართველი მწერლის მიხედვით ჯავახიშვილის ეს სიტყვები ისე კი არ უნდა გავიგოთ, როგორც

სოფელ ზეკოტაში მცხოვრებმა ვ. გელაშვილმა და სოფელ ბეკამში მცხოვრებმა რ. კიპაროიძემ გაიგეს — ადგენენ და ათას-ათასი მეტრი საძოვარი მიიზომეს!.. მათი! გამოცდილება უფრო განავითარა ბაგრატი მამედოვი: სოფელ ვაყის ტერიტორიაზე თავისთვის 0,15 ჰა საძოვარი შეარჩია!..

მინის მიმტაცებელთა თუ მიმთვისებელთა ტრადიციულად ჩამოყალიბებულ ინსტიტუტს აქვს დაუსწრებელი განყოფილება. კაცი სოფელში არ არის, მაგრამ მინის მიმთვისებლად მაინც ითვლება.

„გასული კომლი“, „კავშირგანწყვეტილი კომლი“ — ესენი გახლავან დაუსწრებლები, რომელთაც მემკვიდრეობით მიღებულ საცხოვრებელ სახლთან ერთად უკავიათ მიმდებარე მინის ნაკვეთები, რომლებიც ბევრად ალემატება კანონით დაშვებულ 0,06 ჰა-ს.

უთუოდ მოძველდა და გადასინჯვას საჭიროებს მინათსარგებლობის ყველა არსებული წესი!

დრო გადაუდებლად ითხოვს მინის რეფორმას, მინაზე საკუთრების მრავალრიცხოვან ფორმებს. „გასული კომლებიც“ თავს არ უნდა გავიდნენ და არც „კავშირგანწყვეტილმა“ კომლებმა უნდა გაიწყვიტონ სინდის-ნამუსი — ქართული მინა ჩვენი ერის კეთილდღეობის სამსახურში უნდა ჩადგეს და ეს ყველას კარგად უნდა მოეხსენებოდეს!

ყვივატი რიცხვის აპრუნდები

შვიდიანი რომ საკრალური რიცხვია და მასთან ხუმრობა საშიშია, — ეს კიდევ ერთი მაგალითით დადასტურდა ხაშურის რაიონში.



ერთ დღეს დაბა სურამში მცხოვრებმა ს. ხარაზოვამ კიდევ ერთხელ გადაზომ-გადმოზომა თავის გამგებლობაში არსებული მინის ნაკვეთი და სამი შვიდიანი რომ ერთად დაუსხდა (ნაკვეთი 777 კვ. მეტრი გამოვიდა), იფიქრა, რაკი სამი შვიდიანის ჯამი ოცდაერთს ეტოლება, უთუოდ სარფას მპირდებო და... ბედის სასწორზე შეაგდო!..

არავინ იცის, რამ მიიყვანა მოქალაქე კ. ზაქარიანი მაინცდამაინც ს. ხარაზოვასთან, იქნებ ისევ და ისევ სამმა შვიდიანმა? მობრძანდით, მაგრამ რითი გაგიმასპინძლდეთ, შეეგება ოჯახის დიასახლისი.

მინა დამეყაროს, თუ მინის მეტი მინდოდეს რამეო, გულზე ხელი დაიდო სტუმარმა.

სამი შვიდიანი ორზე არ იყოფათ, მიიღო პასუხი. მერე კიდევ, მინა ცალკე არ იყიდებო.

მაშინ სახლის მესამედი დამითმო.

მორიგდნენ.

კ. ზაქარიანი ჯერ კუთხეში მიიკუნჭა, მერე კი ისე გალაღდა, რომ სურამის სადაბო საბჭოს მესვეურებმა მას ფიქტიურად 400 კვ. მეტრი მინის ფართობი გამოუყვეს და ბინის მშენებლობის პროექტიც გაუშანშალეს!..

კ. ზაქარიანმა ბინის მშენებლობა დაიწყო. კედელი ამაღლდა, პატრონი გალაღდაო, ისე მოხდა. უწინ ს. ხარაზოვამ იგრძნო ეს და ალბათ კიდევ სხვა რამეც, რაც პირის გატეხვას ნიშნავდა. ასე იყო თუ ისე, ამ ანგარების დღემით გაპოხილ მექანიზმში რაღაცა გატყდა, მარტო პირი თუ კიდევ სხვა რამე, ეგ დღეს-დღეობით არავინ იცის.

ორთა საქმეში მესამე — მართლმსაჯულება ჩაერია.

ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლოს 1986 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, რაც უცვლელად დატოვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ, სახლის ნაწილის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება აქედან გამომდინარე ყველა შედეგით ბათილად იქნა ცნობილი.

ს. ხარაზოვას მიერ გაყიდული მინის ნაკვეთი ჩაბარებულ იქნა სურამის სადაბო საბჭოს ფონდში.

ყოველ შემთხვევაში საკითხი ქალაღზე მაინც ასე გადაწყდა. სინამდვილეში არც ხარაზოვას უგრძენია ამ გადაწყვეტილების პრაქტიკული შედეგი და არც კ. ზაქარიანს.

ანგარების დღემით გაპოხილი და მერე სადღაც გატეხილი მექანიზმი კი ყურისწამლებად ჭრიალებს!..

ლანძღვა-გინებინი დავა გრძელდება!..

სამართალდამცავი ორგანოები მხრებს იჩეჩავენ!..

ელგუჯა მერაბიშვილი,
ივანე ოსეფაიშვილი,

„ნინავის“ სპეცოპრესკონფენაბი
ჟურსტრაციები ჯეზალ ლოლუასი

დღევანდელი ჭინჭარაყალი

დიალოგები

ქართული
ინტელექტუალური
კრიტიკის

რა დროს კრძალვა და რიღია?

გუშინდლისა და დღევანდლის კარგად გახიზრებულნი ხანს, რომ ღვარცოფში ჩავცვივდით, ზღვისაკენ მივექანებით.. დროზე თუ არ გავიჭვებით, ნაპირს ვერ მივეგანებით!

პირდაპირა ვთქვათ სათქმელი, რა დროს კრძალვა და ტაქტია?! — მექრთამეობაც ფაქტია, ერის ღალატიც ფაქტია! ხომ ჩაიღინა ვიღაცამ ჭოჭოხეთური აქცია — სამლოცველო და საყდარი ცხენების თავლად აქცია!..

ცოდვები შერჩათ და ცოდვილთ შეცვალეს ბარიკადები, მართალთა პოზიციიდან კნავიან, როგორც კატები. თუ ფხიზლად არ მოვიქეცით ახლა და ამას იქითა, კატები გაძაღდებიან, აუფდებიან რიხითა!..

პირდაპირა ვთქვათ სათქმელი, რა დროს კრძალვა და რიღია?! — გავითავხედდნენ უღირსნი, ხულ უველაფერზე მიღან, მამა-პაპათა საფლავებს აუქციონზე ყიდან!..

რაკი ეს ჩვენს სახლში ხდება, გამოდის, მაშასადამე, ისევ ჩვენ უნდა ვიფხიზლოთ, ჩვენ უნდა ვიყოთ მზადები, — ბილწით არ დავუთმოთ მამულის მომავლის მართვის სადავე!

რაკი ჩვენივე ბრალია, ნაგავი რომ გვაქვს ბინაში, ჩვენ უნდა ვაგოთ პასუხი შთამომავლობის წინაშე!

კერაში ღვეფლი არ ჩაქრეს, არ დაგვრჩეს მარტო ნაცარი, ჩვენ გვადევს და სხვას არავის ეს ვალი უზარმაზარი, — წმინდად დავიცვათ წინაპრის ნაანდერძები რაც არი — დიდი ილიას ტაძარი, დიდი ივანეს ტაძარი!

მლიქვნელ-მედროვნის

სადაც ლელო ლიქნით გააქვთ, ვერ გაიტან ბრძოლით იქა, ამიტომაც ფეხთა ლოკვა არის შენი „პოლიტიკა“!

ერთი რითმა კიდევ გაჩნდა, ვერ დავტოვებ ამას ობლად: კაცი დიად საქმეთათვის მოდის მუდამ ამა სოფლად, შენ არ შრომობ, გაწაფულხარ მხოლოდ ენის ამასობლად, ოფლსაც იდენ, მაგრამ ვერა, ვერ ჩაგითვლი ამას ოფლად!

მომხმამეობა

ხვებე და ხვებე უშრომლად, აგროვე ოქრო-ვერცხლები, ბინაც გაქვს, აგარაკებიც, მანქანაც!.. მაინც ვერ ცხრები!

გაქვს, მაგრამ მაინც გხედავენ ბედის მომდურავს მწყრომელსა!.. ვაგლახ, რომ მიწა დააცხრობს ყოველსა დაუცხრომელსა!..

ბარდაუშმენელი

თუ კვლავ წუმბისკენ მიიწევს იქიდან ამონაყვანი, მისი წამალი ესტაა — ცხვირ-პირის ამონაყვანი! იჭვი

მომავალია ჩვენი ნუგეში, მაინც მტანჯავენ შავი იჭვები, შეეშმიან კი ერის უღელში კევიღებია გოგო-ბიჭები?

ბარბიჭები და შინაბარბები

კალეს სთხოვეს ბერბიჭასთვის მისი შინაბერა თამრო. „დაცული აქ?“ — მაინც რიხით ეთიხება სახიმამრო.

მაქანკალმა ბერბიჭასა გულიანად უქო ნელი, ის კი მაინც იბღინძებდა: „მქონეა თუ უქონელი?“

ბაუშაქლარს

სუყველაფერს ხელს ნუ მოხდებ: „ეს ჩემია!“ „ის ჩემია!“ გაუმამლარ ჭურვილის მოსდევს ინფარქტი და იშვია!..

ოზა

დღეს ჩვენში ოზა გახშირდა, ვის ოხერ სახლში ოზობა!.. როდემდე გასტანს, არ ვიცი, ეს „ლალი ავადმყოფობა“?

გვარი

წინაპარი წინაპირველს, გვარის დამდებს ნიშნავს. ზოგი ჭინჭარს აფტიშებს, ზოგი კიდევ კრიშნავს.

დაიხსომეთ, ჩემო მალხაზ, თეონა და ხეთისო: ნათქვამია (მე არ მითქვამს): „ქვიცი გვარზე ხტისო“.

ბოდა, ჩვენაც ნუ ვიკადრებთ იმნარს და იმგვარს, რაიც არ უკადრებია, რო ვატარებთ, იმ გვარს!

— უფროსო! მომანყვეუ თქვენს დაწესებულებაში სამუშაოდ.
— გეთაყვა, რუსული იცით?
— რაო, რუსეთში მგზავნით სამუშაოდ თუ?!

— ტერენტი დიმიტრი, ნუხელ გვიან გავიგე თქვენი დანიინაურების ამბავი, რამაც ძალიან გამახარა: ახლა უმორჩილესად გთხოვთ დახმარება გამინიოთ ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.

— ბატონო მოსამართლევ! ეს კაცი ქურდია, გუშინ ღამით ფული ამომაცალა ჯიბიდან.

— მოქალაქევ, მონმე გყავს?
— მონმე რომ მყოლოდა, მაშინ ქურდიც ხომ ვერ ნამართმევდა ფულს!

გივი კილაძე



ფრაზები

● **მიამიტობა** გონების ერთ-ერთი კატეგორიაა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს პატრონის წლოვანებას.

● **როდესაც** ადამიანები თევზის საოქმელმა დააინტერესა და მისი პირიდან წყალი გადმოღვარეს, თქვენ წარმოიდგინეთ, თევზი მოკვდა!..

● **ბანონი** — ეს არის ქალაქზე გადატანილი ლოგოკა ქალაქით მოაზროვნეთათვის.

● **ფულის** კეკვიანურად დახარჯვა ძნელი, თორემ მისი სულელურად შოვნა შედარებით ადვილია.

● **ძალი** თოვლივითაა: რაც უფრო მეტ სითბოს აგრძნობინებ, მით მალე დადნება და გაქრება.

გივი პლაზენისპირელი

მ აპრილის განთიადმა საქართველოში ის მზე დააბნელა, რასაც ნდობა და ურთიერთგაგება ჰქვია, რის გარეშეც ცხოვრება ძალზე ძნელია და თითქმის შეუძლებელიცაა! მაშ, რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ? რა ვიღონოთ? პირველ რიგში ამ კითხვებს უნდა გავცეთ დამაჭერებელი პასუხი. კარგა ხანია, ქართველ კაცს ხელში ხმალი არ აუღია. ამასობაში ხმალი მოდიდან გამოსულა კიდევ. სამაგიეროდ ორღესული ბარი შემოსულა მოდაში.. ყველა ქართველმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ხმალზეც და ბარზეც უფრო მჭრელია წინდახედულება. ამდენი ჭკვიანი ადამიანი ერთად თავმოყრილი არასოდეს მინახავსო, — უთქვამს სხვა ერის კაცს, ქართველ ინტელიგენციასთან შეხვედრისას. სიმართლეს ჰგავს. მაშ, რა გვიშლის ხელს, რათა წარვმართოთ საქმენი ჩვენი ჩვენდა საკეთილდღეოდ?

კაცთმოყვარეობა, სტუმართმოყვარეობა, პატივმოყვარეობა, ხალასი ნიჭი, რასაც თან ახლავს ზღვარსგადასული ღონი და გლოვა, მოძმისადმი შური და დალატი! აი, კარგიც და ცუდიც. კარგს წინ მივყავართ, ცუდი უკან გვექაჩება და არ გვაძლევს საშუალებას ვიყოთ მოწინავენი!


მოლა რომ მეჩეთში შედიოდა, შუა გზაზე ჩერდებოდა თურმე და ალაშს ევედრებოდა, ქართველებს ერთი პირი არ მისცემო! მოლასაც სცოდნია ქართველების სუსტი ადგილი, რასაც ერთი პირი ჰქვია, რასაც დღეს კონსოლიდაციას ვეძახით!..

ქართველი ერის წინაშე მრავალი პრობლემა დგას, ბევრი საჭირობორატო საკითხია მოსაგვარებელი, განსაკუთრებით ერთი ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემაა გადასაწყვეტი. ეს გახლავთ მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რისი უგულვებელყოფაც ადამიანების მსხვერპლს იწვევს!..

სხვისი ხელით უმოწყალოდ დახოცილებმა გული და ჭიკარი დაგვიწვეს, მოუნებლებელი ტრავმა მოგვაყენეს, მაგრამ საკუთარი ხელით თვითმკვლელობას არაფრად ვაგდებთ! განა 700 კაცი, რომელიც ყოველწლიურად ავტოკატასტროფით იღუპება, დასანანი არაა? განა ისინი ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ერის შვილები, ჩვენი სისხლნი და ხორცნი არ არიან? რატომ ამაზე არ ვიმადლებთ ხმას?! დაშავებულსა და დასახიჩრებულზე რომ არაფერი ვთქვათ, ნუთუ 700 კაცის ავტოკატასტროფაში დაღუპვა (ადგილზე გარდაცვალებით) არაა ერის ტრაგედია?!.. განა არ შეიძლება მოძრაობის წესების ელემენტარული დაცვით ავტოკატასტროფები თავიდან ავიცილოთ? ამ კითხვას ერთსიტყვიანი პასუხი აქვს: შეიძლება! ჰოდა, თუ შეიძლება, შევიცოდოთ ის 700 კაცი, რომელიც მოსალოდნელია დაიღუპოს ავტოკატასტროფის შედეგად!.. მოდით, ვთქვათ და შევასრულოთ კიდევ. — გავხდეთ სანიმუშო მძღოლები და სანიმუშო ქართველები! ამ საქმის სადავეები ხომ ნამდვილად ჩვენს ხელთაა!

მანი სინარულიძე

ნახ. ვ. კუცინასი



უხიტყვოდ



ՆԱԿԱՐԱԿԱՆ ԵՐԱՐԻՄԱՆ ԵՐԱՐՈՒՄԸ

Կարևոր է ըմբռնել կարևոր լուրը... Կարևոր է ըմբռնել կարևոր լուրը...

Միջազգային ընկերություն... Կարևոր է ըմբռնել կարևոր լուրը...

- Այս քաղաքում, քաղաքում... - Այս քաղաքում, քաղաքում...

ՅԱՆԱ ԿՈՄՍՈՒՅԱՆ ԵՐԱՐՈՒՄԸ

Երևան, 27 հունիսի... Երևան, 27 հունիսի... Երևան, 27 հունիսի...

ՌԵՊՈՐՏԱՆԻՆ ԵՐԱՐՈՒՄԸ

— Երևանում շարունակվում է այս անգամից... — Երևանում շարունակվում է այս անգամից...

Ներսիս Երևան, 27 հունիսի... Ներսիս Երևան, 27 հունիսի... Ներսիս Երևան, 27 հունիսի...

ՄԱՐՏԻՆԱԿԱՆ ԵՐԱՐՈՒՄԸ

Մարտինյանները... Մարտինյանները... Մարտինյանները...

ԵՐԱՐՈՒՄԸ

Մարտինյանները... Մարտինյանները... Մարտինյանները...

ԵՐԱՐՈՒՄԸ

Մարտինյանները... Մարտինյանները... Մարտինյանները...

ՊՐԵՍԵՆՏԱԿԱՆ ԵՐԱՐՈՒՄԸ


Պրեսենտական... Պրեսենտական... Պրեսենտական...

ԵՐԱՐՈՒՄԸ

Երևան, 27 հունիսի... Երևան, 27 հունիսի... Երևան, 27 հունիսի...

ԵՐԱՐՈՒՄԸ

Երևան, 27 հունիսի... Երևան, 27 հունիսի... Երևան, 27 հունիսի...



ԵՐԱՐՈՒՄԸ

Երևան, 27 հունիսի... Երևան, 27 հունիսի... Երևան, 27 հունիսի...

ԵՐԱՐՈՒՄԸ

Երևան, 27 հունիսի... Երևան, 27 հունիսի... Երևան, 27 հունիսի...

ԵՐԱՐՈՒՄԸ

Երևան, 27 հունիսի... Երևան, 27 հունիսի... Երևան, 27 հունիսի...



(დასაწყისი მე-11, მე-12, მე-13 ნომრებში).

გიორგი: კერძოდ?

ნოვა VII: კერძოდ, ჩვენ კერძო სწავლების წინააღმდეგი ვართ. თქვენ გვერდს უვლით ნოე I-ს მონოდებას, რომ მშობლიური ბავშვი მსოფლიო სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს! ამის შესაბამისად კი ჩვენ ვაპირებთ განვახორციელოთ სასკოლო-სა-გიმნაზიო ეროვნული სწავლების მეთოდის სრული განახლება, რომელიც შემდეგში მდგომარეობს (ოთახში ენერგიულად დავდის): ჩვენ ეროვნულ გიმნაზიებში შემოვიღებთ აინგლიან ენერგიული სავალდებულო სწავლებას. ყველაფრის თავიდათავი დისციპლინაა. დისციპლინა კი ჩვენს პლანეტაზე ვის შეუძლია ასწავლოს? — მხოლოდ ინგლისელებს! ამიტომ პირველი კლასი ინგლისური იქნება. ჩვენ მოვიწვევთ ინგლისელ საუკეთესო პედაგოგებს. ინგლისი, ინგლისი (შეგონდება, მერე დასწავლება ტელეფონის ყურმილს) ალო, დედაქალაქის პირველი გიმნაზია? კეთილი. ჩვენი სამშობლო დემოკრატიის დასაცავად — გადასარტყის ინგლისის ჯარების შემოსვლასთან დაკავშირებით, ვბრძანებ: ხვალ თქვენს თითოთ საჩვენებელ გიმნაზიაში ჩატარდეს სატურის სრულიად ღია გაკვეთილი თემაზე: ინგლისელი და მშობლიური ხალხებში ურღვევი თანამეგობრობა. ყველა ბავშვმა უნდა დახატოს შემდეგი სურათი: წყალში (მდინარე, ტბა, ზღვა) იხრჩობა შავთმიანი ბავშვი (ეს მშობლიური ბავშვია) მის გადასარჩენად ხტება ქართობიანი ბავშვი (ეს ინგლისელი ბავშვია), გაფრთხილებთ, გაუგებრობას ადგილი არ ჰქონდეს! აბა, თქვენ იცით, გიმნაზისტებს მიეცით ფანტაზიის გამომყვანების საშუალება (დაკიდებს ყურმილს).

დისციპლინის შემდეგ ბავშვმა შრომისმოყვარეობა უნდა შეითვისოს, ამიტომ მეორე კლასი იქნება გერმანული, რისთვისაც პედაგოგებს მოვიწვევთ გერმანიიდან!

მესამე წელს ბავშვის კომპლექსური აღზრდის პროგრამა ყურადღებას გაამახვილებს მის ფიზიკურ გამძლეობაზე, ამიტომ იაპონიიდან მოვიწვევთ სამურაებს, რომ ჰუმანურ პლანში შეასწავლონ ჯიუ-ჯიცუ და კარატე.

მეოთხე კლასი კი იტალიური იქნება, სადაც ნეაპოლიტანელი და მილანელი მუსიკოს-ვოკალისტ-თეორეტიკოსები ვოკალის სფეროში დააოსტატებენ ჩვენს მოსწავლეებს.

ისე როგორც დიდს, ბავშვსაც სჭირდება დემოკრატიის სიყვარული, ამიტომ გიმნაზიის მეხუთე კლასი ფრანგული იქნება! ეკონომიკის საფუძვლებს კი ებრაელები ივრითის ენაზე შეასწავლიან ჩვენს მებევსეკლასელებს.

მეექვსე კლასი ესპანურენოვანი იქნება. ბავშვები მსოფლიო გეოგრაფიას შეისწავლიან. ჩვენ მოლაპარაკებას ვანარმოებთ ქრისტეფორე კოლუმბის კომპანიასთან, რათა გამოცდილი გეოგრაფები გამოგვიგზავნონ!

მეშვი კლასში ბავშვები ჩინური ხალხური მედიცინის საფუძვლებს დაუფლებიან ორიგინალის ენაზე!

ბოლოში, ერთი წუთით (იღებს ტელეფონის ყურმილს და კრეფს ნომერს!) გელაპარაკებათ განათლების მინისტრი. ჩვენ ამჟამად ვატარებთ ათიზმის ერთთვიურს და თქვენმა სკოლამ მასში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს. ათიზმის ღია გაკვეთილის ჩასატარებლად თქვენ ნაიფხვანთ უმცროსკლასელ ბავშვებს ხვალ 12 საათზე ღვთისმშობლის ეკლესიაში, რომელიც რემონტის გამო ამჟამად უშოქმედოა. შეიყვანთ ბავშვებს და ათიზმის მასწავლებელი მათ კითხავს: ბავშვებო, აბა თქვით ღმერთი არსებობს? ბავშვები უპასუხებენ — დიახ. მასწავლებელი: აბა, მასში სხობოვთ ღმერთს, თუ არსებობს, კამფეტის მოგცეთ. ბავშვები

დაუნყებენ ღმერთს ხეენას — ღმერთო, მოგვეცი რა კამფეტი! ცხადია, ღმერთი მათ არაფერს მისცემს. მაშინ მასწავლებელმა უნდა უთხრას ბავშვებს: ბავშვებო, აბა ახლა მოკრეჭე კრეჭილს სხობოვთ კამფეტი. ბავშვები დაინწყებენ თხოვნას: მია მოე, კამფეტო მოგვეცი რა, და აი, მაშინ ეკლესიის გუმბათიდან წამოვა კამფეტების ნიმა. ნუ ლეღავთ, ქალაქის შოკოლადის ფაბრიკასთან ჩვენ უკვე დაავადეთ ხელშეკრულება. ამ მაგალითზე ბავშვები თვალნათლივ რწმუნდებიან, რომ ღმერთი არ არსებობს, ბატონ ნოე პირველის არსებობა კი მათთვის სასარგებლო და სასურველია. გაფრთხილებთ, გაუგებრობას ადგილი არ ჰქონდეს. აბა, თქვენ იცით (კიდებს ყურმილს).

მოსწავლე გიმნაზიის ასტრო-ფიზიკის გარეშე ბეცია, ამიტომ მეცხრე კლასი არაბულ-ასტროფიზიკური კლასი იქნება, ჩვენ არაბეთის ხალიფადიდან ჩამოვიყვანთ საუკეთესო ვარსკვლავთმრიცხველებს, ხოლო რაც შეეხება მეათე კლასს, იგი მთლიანად დაეთმობა დედაენას და კერძოდ ანბანის შემდეგ საკითხავ ნიგნებს!

(განათლების მინისტრი უახლოვდება გლობუსს, თითს აჭერს „წყნარ ოკეანეზე ამონეულ კნოპს“ აქ აბაზანა გვაქვს! (იღება წყნარი ოკეანე და გამოდის ფსევდონოეს ცოლი, რომელსაც გულზე ქმრის სურათი ჰკიდია გიმნაზიის ფორმაში. ზურგზე ჰკიდია წარწერა „ცოდნამ იგი ზეცამდე აამალა“)

შევედრეთეს ცოლი: სანამ ჩემი ძებნით მთა და ბარს გადაატრიალებდით, აგერ ჩემი ფეხით მოვედი და მზად ვარ სრულიად უსასყიდლოდ ჩემი უსაყვარლესი მეუღლის სკოვის პატივსაცემად დაგიტომთ მისი უნიკალური ბიოგრაფია. ცხადია, მე მას არცთუ უმტიკინეულოდ ვიკვლევ გულიდან, ერთადერთი, ვინც მის სიყვარულს მეცილებოდა, მისი სამშობლო იყო. ინებეთ (შედის გლობუსში და იქიდან გამოაქვს მოზრდილი ჩემოდანი. ხსნის ჩემოდანს, ამოაქვს ნიგნი — ზედანერი: დიდი პატრიოტის მოკლე ბიოგრაფია!).

განათლების მინისტრი ნოვა VII: გეთაყვათ, თუ შეიძლება რომ ჩავიხედო (ანეფს ყდას), ბატონო გიორგი, მომეხმარეთ ყდის ანეფსი (გიორგი ეხმარება), ოო, ხელნაწერი! მე მახსოვს ჩემს ბავშვობაში დიდ განძად ითვლებოდა, ეს მე პარლამენტის ტრიბუნაში არაერთხელ თამამად განმეცხადებია ხელნაწერი ნიგნის ფლობა. თუმცა მაშინ პოლიგრაფია საკმაოდ ფუხმოკიდებული იყო, მაგრამ ერის საამაყო ნიგნები ხელით გადაინერებოდა ხოლმე და ქალებს მზითვები ატანდნენ. ერთი ასეთი ნიგნი ბებიამეჩასაც მოჰყვა მზითვში.

კალიგრაფთა მთელი სკოლები არსებობდა... ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში, მოგხსენებთ, მაშინ პაპირუსი იყო გამოყენებული სანერ ფურცლებად, შემდეგ, ალბათ თქვენც გუხსოვებთ, ეტრატის შემოვიდა, და ვინ ფიქრობდა მაშინ მესაქონლეობის განვითარებაზე, უამრავი, მათ შორის რამდენი მავნე ნიგნის გადაწერას უღანაშულო ხბორების სიცოცხლე ეწირებოდა და აი, როგორც იქნა კაცობრიობის ისტორიაში მოხდა ერთ-ერთი დიდი სასწაული, ჩინელებმა გამოიგონეს ქალაქი. ერთ-ერთ ჩინელს მე პირადად ვიცნობდი. ჩემი განსწავლის ყაზხ კლასიკური გიმნაზიის აღმოსავლეთის კედელთან მას ფეხსაცმლის სანმედი ჯიხური ედგა, გაგაოცებდათ მისი დარბაისლური მასალათი და ღრმად განსწავლულობა, კონფუსი იღეთებისა და კონფუციის ფილოსოფიის ცოდნა. პირადად მე არაერთი გაკვეთილი მიმიღია მისგან ლობაჩევსკის გეომეტრიაში, ახლა მის მიერ განმედილ ფეხსაცმელს არ ივითხავთ, დიან ფეხსაცმელს, ფეხსაცმელს. რამდენჯერ დავაყენე პარლამენტში საკითხი, რომ გაკვეთილზე შეწავს მასწავლებელს ერთი ზომით დიდი ფეხსაცმელი ეცვას, რათა ფეხსაცმლის სიგინოვებ არ შეანუნოს იგი და ამ მომენტმა მოსწავლის ცოდნის ობიექტურ შეფასებაში სუბიექტური მომენტით არ შეიტანოს, არადა, ქალბატონო, რა რთული პროგრამა აქვთ ჩვენს ბავშვებს, განსაკუთრებით გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიის შესწავლისას. მოგხსენებთ, ჩვენ საბერძნეთის ინსტიტუტთან მჭიდრო კონტაქტებში შევიშუშავეთ ასალი პროგრამა, რომლის მიხედვითაც, რაც უფრო უცნობია მასალის პერსონაჟის ისტორია, მით მეტია ინტერესი გაკვეთილისადმი. შეთანხმების საფუძველზე სასკოლო პროგრამიდან ამოიღეს შვიდი ბერძენი ბრძენის ცნობილი ბიოგრაფიები და მის მაგივრად შეიტანეს სამახი უცნობი სპარტელის ბიოგრაფიები, შესაბამისად ამოვიღეთ ჩვენი ერის სახელოვანი შვილების ბიოგრაფიები და შევიტანეთ მასახი უსახელო გმირის ჩვენთვისაც კი უცნობი ბიოგრაფია.

თქვენი მეუღლე ცნობილი და სახელოვანი მოღვაწეების პლედად ეკუთვნოდა და მისი ბიოგრაფია სასკოლო პროგრამის გარეშეც სავალდებულო სამშობლოს ყველა მოქალაქისათვის. პირადად მეც რამდენი რამე ვიცი ზეპირად თქვენი ქმრის ცხოვრებიდან. მაგალითად ძალიან გამეხარდა, როდესაც ამ ნიგნში აღმოვაჩინე საყვებლთაოდ ცნობილი ფაქტი, რომლის შესახებ ჯერ კიდევ ოქსფორდის უნივერსიტეტში სწავლისას მიყვებოდნენ, რომ 1871 წლის 25 აგვისტოს და არა 26-ში, აქამდე რომ ეცინათ, თქვენმა მეუღლემ საკუთარი ქუსლიდან გამოიძრო ტრიფოლიატის ყვალ, რაც ჯერ კიდევ ანტიკურმა ხელოვნებამ იწინასწარმეტყველა ჩვენს ნელთალრიცხვად III საუკუნეში

შექმნილ ქანდაკებაში, რომელიც ამჟამად ბრიტანეთის მუზეუმში ინახება.

მაგრამ მთავარი ნიშანსვეტი, ორიენტირი, რომელიც ჩვენს ერს უნდა გამოადგეს ზნეობრივი მარქსიზმის გზაზე, არის მისი უღალატო სიყვარული და ქორწინება ისეთ ქალზე, რომელიც დაჯილდოებულია ყველა ადამიანური ღირსებით — კლუოპატრას ვენებითა და პენელოპეს ერთგულებით.

მე იმედი მაქვს, რომ ამ ზნეობრივ თემას საკადრისი ადგილი ეთმობა (ხელს დაადებს წიგნს. ფსევდონოს ცოლი, რომელიც აქამდე პირდაღებული უსმენდა, გამოერკვა და ბედნიერებით ლულულაღეს).

ფსევდონოს ცოლი: ჩვენი ქორწინების ისტორია მისი ბიოგრაფიის მე-2 ტომშია მოთხრობილი.

წმ VI: როგორ, თქვენ, თქვენ ის არა გაქვთ დაწერილი?

ფსევდონოს ცოლი: როგორ არა, როგორ არა, ორივე ერთად ვერ დავძარი, ახლავ იმასაც მოგართმეთ (ფსევდონოს ცოლი შევარდება გლობუსში).

წმ VII კარს მიუკეტავს და ხელეგაშლილი აეკრება.

სურათი მუხვი

სამხედრო სამინისტრო. სცენა წარმოადგენს სამხედრო მინისტრის კაბინეტს. მინისტრის წინაშე უკან ჩამოკიდებულია სურათზე გამოსახული ცხენზე ამხედრებული წმ I, რომლის გარშემოც მტრის გვაშების მთებია დამდგარი, მოპირდაპირე კედლებზე საფრანგეთის უზარმაზარი რუკა, მასზე პატარა დროშები და რტობილი.

წმ VI: მე თქვენი მესმის, მაგრამ ის არ მესმის, თუმცა მესმის... თქვენზე რომ არავის დაურეკავს!

მცირე: მე კადრის ოფიცერი ვარ! და გთხოვთ, გამიშვათ ფრონტის იმ უბანზე, სადაც სამშობლოს განსაკუთრებით უჭირს! ტელეფონი რეკავს, წმ VI პასუხობს:

წმ VI: მესმის, მესმის, ძალზე სასიამოვნოა, გილოცავთ 5 კმ ჩრდილო-დასავლეთი ფრონტის გადაწევის (მერე მიდის რუკასთან და დროშებს გადაადგილებს).

მცირე: უკაცრავად, მაგრამ ეს ხომ საფრანგეთის რუკაა?

წმ VI: მე სამხედრო აკადემია საფრანგეთში მაქვს დამთავრებული, ქ. შარტრში და, ბუნებრივია, საფრანგეთის რუკას უფრო შეჩვეული ვარ, ვიდრე სამშობლოსას.

მცირე: მე იმას მოგახსენებდით, სადაც უფრო უჭირს სამშობლოს, მაგალითად სამხრეთის ფრონტზე...

წმ VI: რატომ გინდათ სამხრეთის ფრონტზე წასვლა?

მცირე: რომ გავიმარჯვოთ.

წმ VI: თუმცა თქვენს შესახებ არავის დაურეკავს (ჩაახველებს, საფრანგეთის რუკას ნაბეჭდებს ყურადღებას), მე მაინც მჯერა თქვენი შესაძლებლობების და ამიტომ ვერ გაგიშვებთ სამხრეთის ფრონტზე! ჩვენ სამხრეთის ფრონტზე დაგეგმილი გეგმები დროებითი ნარუმატებლობაა, რაც ჩვენი გლობალური სტრატეგიის ტაქტიკური ნაწილია. თქვენი ჩასვლითა და თქვენი გეგმების განხორციელებით, სავსებით შესაძლებელია, რომ სერიოზულ წარმატებებს მიაღწიოთ, რაც ჩვენ და ჩვენს მოწინააღმდეგეს დაგეგმილი არა გვაქვს.

მცირე: მაშ იქ გამომიყენეთ, სადაც წარმატება გაქვთ დაგეგმილი!

წმ VI: ძალიან ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ამ ეტაპზე არც ერთ ფრონტზე არ გვაქვს დაგეგმილი წარმატება...

(რეკავს ტელეფონი) მაშ თქვენ ამბობთ, რომ ჩვენმა სამხრეთ-დასავლეთის არმიამ გენერალ ბალეაშის მეთაურობით გაანადგურა მონინალმდების რიცხოვრივად ჭარბი არმია? ძალიან კარგი, ვბრძანებ: გენერალ ბალეაშს გამოეცხადოს ზეპირი მადლობა და გათავისუფლებულ იქნეს სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის მთავარსარდლის თანამდებობიდან და ამ თანამდებობაზე დაინიშნოს გენერალი ოდიშარია! მასვე გადაეცეს მეფე დავითის ორდენი!

იღება კაბინეტის კარი და შემოდის წითელი მანტიით შემოსილი კარდინალი.

პარდინალი: გავიგე, ჩემმა ლოცვებმა ნაყოფი გამოიღო და კურთხეულმა ჩვენმა არმიამ გამარჯვებებს მიაღწია. აღსრულდა ოცნება ჩვენი! მტერი გავრეკეთ ჩვენი საქრისტიანოს საზღვრებიდან.

წმ VI: კი მაგრამ, თქვენო უწმინდესო! ჩვენი არმიის გამარჯვება საიდუმლო საზით შემატყობინეს, სულ ორმა კაცმა ვიცოდით, თქვენ საიდან გაიგეთ?

პარდინალი: შვილო ჩემო, თქვენ შტაბი, შტაბი განვითარსა იდუმლოს, მე კი — თვით უფალი!

წმ VI: ღმერთი ღმერთია! თუმიცა საეჭვოა... შეიძლება, სამხედრო საიდუმლოების გაფრთხილებას უკონდეს ადგილი!

პარდინალი: ახლა ადგილი... ქრისტესმიერო ძმაო და შვილო! ყველაფერს აქვს პატიოსნებისა და ღვთის შიშის გარდა! აკი წინა კვირას მოგახსენეთ, კათოლიკური ეკლესიის მრევლი ისედაც მცირეა და ამ ომის პირობებში სულ დაკარგეთ სარგებელ-შემოსავალი. ეკლესიის საღარო იმდენად გაღარიბდა,

რომ რომში ვერ ჩავსულვარ წმინდა პეტრეს საფლავის მოხალატად.

წმ VI: თქვენო უწმინდესო! წმინდა კვირასაც აგისხნით, რომ ამ ომში ღვთის ხელი არ ურევია და წმინდა სამინისტრო თქვენი ეკლესიის დაფინანსებაზე უარს აცხადებს! პარდინალი: მაშ, ღვთის ხელი არ ურევია! ღვთის ხელი არ იყო, რომ სანავის უქონლობის გამო პაპის ქვეყნად მაშინდელი ანთა ქვეყნის გავლით შლითაში გახვეული 56 თვითმფრინავი ჯვარცმის მაკეტებად რომ გავასაღო და ისე ჩამოვიტანეთ?!

წმ VI: თქვენო უწმინდესო! ღვთის ხელის ამავს კი არ დაგვიკარგავთ, მაგრამ რაღაც უნდა მოვიფიქროთ, რომ დაფინანსება სწორი გზით წარვმართოთ (ბოლთას სცემს. რეკავს ტელეფონი). როგორ? მონინალმდებებს მაშველი ჯარი მოუვიდათ, ჩვენი არმია უკან იხევს? ვბრძანებ: გათავისუფლდეს გენერალი ოდიშარია და მის ადგილზე დაინიშნოს გენერალი ბალეაშ! (პიედეს ყურმილს) თქვენი უწმინდესო! თქვენი ეკლესია ვისი სახელობისაა?

პარდინალი: ვარდისუბნის წმინდა გიორგისა.

წმ VI (ლილაკს აჭერს, შემოდის დივანი): ბრძანება: დედაქალაქის ვარდისუბნის კათოლიკური ეკლესიის მფარველ წმინდა გიორგის მიწიწის სამშობლოს არმიის პოლკოვნიკის ჩინი და დაინიშნოს შესაბამისი ხელფასი!

პარდინალი: სულწმინდის მადლმა, ჩვენი წმინდა გიორგი სწორედ რომ გენერლობასაც იმსახურებს.

წმ VI: ეგ მომავლის საქმეა, აი, ღვთის ხელი ჯავშნოსან მანქანებსაც თუ ჩამოგვატანინებს, გენერლობაზე მერე ვილაპარაკოთ!

იღება კაბინეტის კარი და შემოდის ფსევდონოს ცოლი, რომელსაც გულზე ჰკიდია ფსევდონოს პორტრეტი, ზურგზე კი აწერს ლოზუნგი: „ავუგოთ ხელთუქმნილი ძეგლი სამშობლოს სიყვარულით ხელთუქმნილ გმირებს!“

პარდინალი: განვედ სატანა! (მიუბრუნდება გიორგის) აი, ამ ქალმა რომის პაპასთან სამჯერ მიჩივლა ჩემს ქმარს წმინდანად არ რაცხავსო!

ფსევდონოს ცოლი: ვაი ერს; რომელსაც არ ძალუძს თავისი ღირსი შვილის დაფასება. ჩემი ქმარი თქვენსმეტწილიანი ემიგრაციის განწმენობაში თავისი გამორჩეული თვისებებითა და ნიჭიერებით ცდილობდა იქ — ჩემს ქვეყანაში არავის მოხვედროდა თვალში, რათა აქ ჩამოსულიყო და სამშობლოსათვის მოეხმარა თავისი ნიჭი, მის სამსახურში დაეღია სული. ჩამოვიდა კიდევ და ის გახდა მსხვერპლი თქვენი თავისუფლებისა და რამილო ამის სანაცვლოდ? ქალაქის მერმა უარი მიიხრა რომელიმე მოედანზე ჩემი ქმრის ძეგლის დადგმაზე, მინათმოქმედების მინისტრმა ნოე მეშვიდემ უარი მიიხრა საშუალო სკოლის პროგრამაში შეტანაზე ჩემი ქმრის ბიოგრაფია! ხოლო ნოე მეოთხემ, ამჯერად როგორც კულტურის მინისტრმა, უარი მიიხრა მისი სახელობის სამშობლოს გათავისუფლების მუზეუმის შექმნაზე...

წმ VI: ოოო, ქალბატონო, თქვენ თავიდანვე ჩვენთან უნდა მოსულიყავით (რეკავს ტელეფონი). უკაცრავად! აა, სამშობლოს არმიამ გენერალ ბალეაშის მთავარსარდლობით ალყაში მოაქცია და გაანადგურა მონინალმდების მაშველი ჯარიც? მშვენიერია, დაუჯერებელია! მაშინ ვბრძანებ: გენერალ ბალეაშს გამოეცხადოს ზეპირი მადლობა და გათავისუფლებულ იქნეს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მთავარსარდლის თანამდებობიდან და ამ თანამდებობაზე დაინიშნოს გენერალი ოდიშარია! მასვე გადაეცეს მეფე ვახტანგის ორდენი!

ფსევდონოს ცოლი: თუ ასე გაგრძელდა, იძულებული ვიქნები, ჩემი ქვეყნის მთავრობას მოვუთხრო ჩემი გასაჭირი და ვთხოვო დახმარება.

წმ VI: უკაცრავად, ქალბატონო, თქვენ რომელი ქვეყნის ქვეშევრდომი ბრძანდებით?

ფსევდონოს ცოლი: დედოფლის ერთა თანამეგობრობის!

მცირე: ბალეაში ჭეშმარიტად დაუშინებელი გენერალია!

წმ VI: სამწუხაროდ ასეა.

მცირე: რატომ სამწუხაროდ?

წმ VI: იგი სხვა პარტიის წევრია და ჩვენ, მისთვის გამარჯვებული არმიის წევრია არ შეგვიძლია!

ფსევდონოს ცოლი: თქვენ ბრძანეთ, თავიდანვე ჩვენთან უნდა მოსულიყავით, ბოლოს და ბოლოს ხომ მოვალნიე თქვენამდე!

წმ VI: დიახ, თქვენი მეუღლე ჭეშმარიტად დიდი პატრიოტი იყო და მის ღვაწლს სამშობლო არ დაივინებს! მაპატიეთ, მისი სახელი?

ფსევდონოს ცოლი: ჯოზეფ შენირული!

წმ VI: ზეგ ჩვენ საზიმიოდ ჩაუშვებთ ზღვაში ახალ კრეი-სერს, რომელსაც მამულისათვის შენირული ჯოზეფ შენირულის სახელი მიენიჭება.

(გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში)

ნ. ა. ჯ. ლოლუსსი



— ახლა საქართველოს ტერიტორიაზე ვიმყოფებით და ქართულად უნდა ვიგალობოთ!

ანტიპერესტროიკელი

სიმღერა

ააროლი

„ვაჩუქო“ ერთმანეთს ჯარები..
„ვაჩუქო“ ერთმანეთს ბარები..
„ვაჩუქო“ ერთმანეთს ფარები..
ვისმინოთ მწუხარე ზარები..

გავთლოთ პროსპექტი ტანკებით..
დავჩხოტოთ ხალხები ბარებით..
მოვწამლოთ მიდამო გაზებით..
დავხოცოთ ბავშვები, ქალები..

შევუწყოთ ერთმანეთს აზრები!
ვამტკიცოთ: — არ გვექონდა ბარები!
ვამტკიცოთ: — არ იყო გაზები!
და ხალხზე ზრუნავდნენ ჯარები..

„ვაჩუქო“ ერთმანეთს სიცრუე!
შვეითხნოთ ტყუილი ბარათი!
ჩავაქროთ სიმართლის სანთელი!
დავმალოთ ნამდვილი ჯალათი!

გიგლა გახტაძე

მეზობელი კარისაო

„მეზობელი კარისაო
სინათლეა თვალისაო“, —
თუ ღირსება გააჩნია
კაცის ანდა ქალისაო!
ზოგიერთი აივნიდან
ნამწვებს ისვრის „მტკვარისაო“
ზოგი კურკებს გვაყრის თავზე
ატმისას თუ ბალისასო..
ფანჯარასთან ნაგავს გვიყრის,
სუნი ასდის მყრალისაო,
ძაღლი, კატა მისევია,
ისმის კენჭეჭა ძვალისაო..
კედლის მიღმა ბრძღვივია ისმის
გახეთქილი მთვრალისაო,
წყველა-კრულვა, შევივლება
გატყუბილი ქალისაო..
ჭერში ნაკადული მოდის
მეზობელის წყალისაო..
განა ყველა მეზობელი
სინათლეა თვალისაო?!

ნიკოლოზ იოსელიანი

ბონდოიუს კარიერა

ბამზლეთი

ამ ოცნებებში წლის წინათ კაციშვილი არ გვაძალბებდა, მაგრამ რატომღაც თვითონ ვიჩენდით ინიციატივას და, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოში ქართულ სკოლაში სწავლა ჩამორჩენილობად ითვლებოდა..

გამონაკლისი არც ქუთათურები გახლდათ და აი, პეტრუშა ალფაიდის შუათანა ვაჟმა ბონდოიუმ საშუალო სკოლაც რუსულად დაამთავრა და როსტოვის პედსასწავლებელიც. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ პეტრუშას ჯარიდან ჩამოყოლილი ცოლი ჰყავდა, მოლდაველი ქალი, ადვილად წარმოსადგენი გახდება ბონდოიუს შინაგარეული ანი და ბანი..

ასე იყო თუ ისე, ბონდოიუმ ოთხწლიანი პედსასწავლებელი შვიდ წელიწადში გააიძაბა და სტაჟირების მიზნით ჩუვაშეთის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში (რასაკვირველია, რუსულში) მიავლინეს რუსული ენის მასწავლებლად.


რუსულ-როსტოველ-მოლდაველ აქცენტს არცთუ ორგანულად შეერწყა ჩუვაშური და ერთ მშვენიერ დღეს კინაღამ ბენჯზე ჩამოეკიდა მომავალი პედაგოგის დიპლომის ბედი, მაგრამ ყოველად გამჭრიახმა და ნემსის ყუნწში მძრომმა პეტრუშამ, საავადმყოფოში რომ მუშაობდა კარისკაცად, შვილის თავზე მოგროვილი შავი ღრუბლები იოლად გაფანტა.

განაწილეს ბონდო პეტროვიჩი სიქტივკარის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში მასწავლებლად, მაგრამ მამამისმა თავი მოიკლა და იმ სიშორეს წასვლა არ დაანება პირმშოს — სიქტივკარი სიკვდილის კარს მაგონებს და — არავითარ შემთხვევაში!

დარჩა ჩვენი ბონდოი, როგორც ჩვენი უყვართ თქმა, დროებით უმუშევარი (ვითომც სადმე სამიღღებრიოდ უმუშევარიც მოიპოვებოდა!). პეტრუშასაც რა ელონა — ადგა და ფილოლოგი შვილი „პიანი“ ბაზარში მოაწყო მეკუჭნავედ. კიდევ ოთხმა წელმა განვლო, მაგრამ ბონდოიუმ ცოდნის ნაცვლად იმდენი „ფარა“ დააგროვა, რომ საკუთარი „დეცატი ჩიტირე ძესიტით“ ეწვია განათლების განყოფილებას: გავიგე, ამიერიდან არაქართულ სკოლებში ქართულთან ერთად რუსული ენაც აუცილებლად უნდა ისწავლებოდესო, და სამსახური მოითხოვა. იმათაც რა ექნათ, არც აცივებს, არც აცხელეს და ნალკაში გაამწესეს მასწავლებლად.

დგას ახლა, აი ამ წუთას, ბონდოიუმ ალფაიდე და პუშკინის ენას ასწავლის მოსწავლეებს, რომელთა უმრავლესობას თურქულენოვანი ქრისტიანი ბერძენები შეადგენენ.. ღმერთმა ხელი მოუშაროს!..

ტიტა ქავთარაძე
(ქ. ქუთაისი)



კრიტიკის მუზა

ერთხელ ზევსს ჩვეულებრივი მოკვდავის სახე მიეღო და ზღვის სანაპიროზე მზის აბაზანას იღებდა. უცებ მისი ყურადღება ერთმა მშვენიერმა გოგონამ მიიპყრო, რომელიც იქვე ახლოს ქვიშაზე წამოწოლილიყო და რაღაცას ინერდა ბლოკნოტში. ზევსმა დაუძახა.

— ხელს ნუ მიშლი! — უპასუხა გოგონამ ისე, რომ თავი არ აუნეწია, — ვერა ხედავ, რომ ლექსსა ვწერ?!
— ზევსი მიუახლოვდა და ბლოკნოტს ჩახედა. ძალიან ცუდი ლექსები იყო.

— რა ზომით წერ? — ჰკითხა გოგონას.

— ქრონომეტრით. და, ჩემი აზრით, ურიგო ლექსები არ უნდა იყოს. მე მათთვის მუსიკაც კი დავწერე! გინდა მოგასმენინო?

ზევსმა ვერ შოასწრო პასუხის გაცემა, გოგონამ სასწრაფოდ აიღო იქვე ქვიშაზე დაგდებული ლირა და ისეთი საშინელი ხმით დაიწყო „სიმღერა“, რომ იფიქრებდით, ვიღაცა დანით სერავს მინასო. ზევსს ცრემლი მოადგა თვალებზე ამ ვაი-პოეტისა და ვაიმომღერლის შემყურეს.

— შენ ტირი? — მიმართა აღფრთოვანებულმა გოგონამ, — როგორ გეტყობა, რომ ხელოვნების კარგი მცოდნე ხარ!

— ცოტა რამ გამეგება! — უპასუხა ზევსმა და თავი ძლივს შეიკავა, რომ თავისი ნამდვილი სახე არ მიეღო და სასტიკად არ დაესაჯა ეს თავზედი. ესლა უთხრა მხოლოდ:

— როგორ ბედავ შენს ლექსებში ზევსის სახელის ხსენებას, მეტისმეტი ხომ არ მოგდის?!

— არც იმდენად. მე ზევსის ქალიშვილი ვარ!

— როგორ?! — განცვიფრდა ზევსი, — რა გქვია?

— დეციმა.

— არა მსმენია შენი სახელი.

— შენ კი არა, თვით მამაჩემმაც არ იცის ჩემი სახელი. დედას ისედაც ბევრი ქალიშვილი ჰყავს და ჩემს არსებობას უმაღავენ საერთოდ. მე ცხრა და მყავს, ცხრა მუზა, მე კი დეციმა მქვია, მეთუ.

— მაინც რატომ უმაღავენ შენს თავს ზევსს?

— ამბობენ, ოჯახის შემარცხვენელია, ყველაფერს ეპოტინება და ხელიდან არაფერი გამოსდისო. მაგრამ ახლა შენ ხომ დარწმუნდი, რომ ეს ცილისნამებაა! შენ ხომ აგატირა ჩემმა ხელოვნებამ? გინდა კიდევ გიმღერო ან ლექსები წაგიკითხო?

ზევსს ამის გაგონებაზე კინალამ გული შეუწუნხდა და მსგავსი რომ აღარაფერი გაებედა, მაშინვე თავისი სახე მიიღო და მრისხანედ შეიკრა ნარბები.

— მამა! — წამოიძახა შეშინებულმა გოგონამ.

— დეციმა! ყურადღებით მოისმინე ჩემი განაჩენი: სასტიკად გიკრძალავ სიმღერას, ცეკვასა და ლექსების წერას! შენ არა გაქვს ამის ნიჭი! ამის სწავლა შეუძლებელია! დღეიდან შენ მხოლოდ გააკრიტიკებ შენს დებს! შენ იქნები კრიტიკის მუზა!

უნგრულიდან თარგმნა ლილი მაისურაძემ

ნ.ა. მ. აბაშიძისა



თადეუშ კოლიანოვსკი

(კოლონეთი)

ორატორს

სადაც წყალია საკირო.
მოედინება საქაოდი...
შენ რისთვის ბაძავ წყალსადენს,
რატომ ირჩები ამოღო?!

წყალს ახსამ მოხხენებაში,
გისმენ და... გული წვრილდება!...
წყალს პირში ჩაიგუბებდე, —
ყველაფერს ემჯობინება!

თარგმნა შოთა ამირანაშვილმა

89-466



სატირისკო და იუმორისკო
შურნალი „ნიანგი“ № 14
(1792) ივლისი გამოცემა
1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ჭაბუა ამირეჯიბი, ნოზაძე
ბარათია, ბორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჯე-
მალ ლოლუა (მხატვარ-რე-
დაქტორი). ნოდარ მალა-
ზონია, ალექსანდრე სამ-
ხონია, ბეჟან ხიზარულიძე
(მთავარი რედაქტორის მო-
ადგილე), ჯანსუღ ჩარკვია-
ნი, თამაზ წიფიძე, ნა-
ფი ჭუსთოთი.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გაღეცა ასაწყობად
22. 06. 89 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 28. 07.
89 წ. ქალაქის ზომა
60X90/8, ფიზიკური ნაბე-
ჭდი ფურცელი 1,5. სად-
რიცხვო-საგამომცემლო თა-
ბანი 1,9. საქართველოს კბ
ქპ-ის გამომცემლობა,
ლენინის 14. შეკვ. № 1548
შე 04677. ტირაჟი 130000.
ქურნალი გამოდის თვეში
ორჯერ. რედაქციაში შემო-
სული მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008.
თბილისი-8, რუსთაველის
პარკის № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაყების — 99-02-38,
მდივან-მედიანქანის —
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке). Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издаватель-
ство ЦК КП Грузии,
ордена Трудового Крас-
ного Знамени типогра-
фия издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси,
улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 76187



ამ ფოტოზე აღბეჭდილ შენობას ნუ მო-
იძიებთ რომელიმე რაიონულ ცენტრში. იგი
თბილისშია გადაღებული და აგერ მე-
სამე წელია ახარება ჩვენს მტერსა და გულს
უკლავს მოყვარეს, ანუ ამ შენობაში მომუ-
შავეებს. ჩვენ, პირველი სართულის ბინა-
დარნი, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცი-
ისა და პროპაგანდის რესპუბლიკური ცენტ-
რის თანამშრომლები ვართ, ხოლო ჩვენს
ზევით, მეორე-მესამე სართულზე, აგრო-
მრეწვის კვალიფიკაციის ამაღლების უმაღ-
ლესი რესპუბლიკური სკოლაა. შენობა შუა-
გულ თბილისში, მარშალ გელოვანის პროს-
პექტზეა (ნომერი 4-ა).

შენობის ექსტერიერი კომენტარს არ საჭი-
როებს. რაც აშენებულია, ისიც მალე დაინგ-
რევა მშენებლების უყურადღებობით. რაც
შეეხება ინტერიერს, აქ კი კომენტარის გა-
რეშე არ გამოვა. ჩვენი საუკუნის მიწურუ-
ლის ამ იშვიათ ნაგებობას დღემდე არ აქვს
დენის მუდმივი წყარო, რაც აფერხებს ცენ-
ტრის გამამრავლებელი და კოპირების მან-
ქანების საამქროს მუშაობას. ვერ ვიტყვით,
რომ მშენებელი ორგანიზაციის თავკაცები
უსაქმონია. მათ ტრანსფორმატორის ჯიხუ-
რიც ააშენეს, ტრანსფორმატორებიც შემოი-
ტანეს, მაგრამ გამართვაზე კი თავს იკავე-
ბენ!.. რატომ?..

ჩვენი მეორე გულისტკივილი ტელეფონს
ეხება. ცენტრის 130-კაციან კოლექტივს ქა-
ლაქის მხოლოდ ორი ნომერი აქვს მარტო
იმ მიზეზით, რომ მშენებლებმა არ მოისურ-
ვეს პროექტით გათვალისწინებული სატე-
ლეფონო კაბელის ჩადება, რა მიზეზითაც
დღემდე ვერ იქნა გადაყვანილი საინფორმა-

ციო სამსახური ტელეავტომატურ რეჟიმზე.
ესეც — მეორე! რატომ?!

შენობა ფერდობზეა აგებული და დასავლე-
თის მხრიდან არ აქვს გაკეთებული პროექ-
ტით გათვალისწინებული სადრენაჟე არხი.
დიდი ფანტაზია არ სჭირდება აქაური სურა-
თის წარმოდგენას. დანესტიანებული კედ-
ლები, ჩამოცვენილი შელესვები და შმორის
სუნი, რაც შესაძლებელს ხდის ნორმალურ
მუშაობას!.. რატომ არ ელება ბოლო მშენე-
ბელთა გულქვაობას, რატომ?!

ჩვენი კოლექტივის საქმიანობა საჩივრე-
ბით დაიწყო და აგერ ორი წელია სიმართ-
ლის ძებნაში კარდაკარ დავდივართ. პირვე-
ლი დამამშვიდებელი წერილი საქსახაგრო-
მრეწვის კაპიტალური მშენებლობისა და რე-
კონსტრუქციის მთავარი სამმართველოს
უფროსის მოადგილის ა მ ხ. მ. კიკნაძის ს-
გან მივიღეთ, ბოლო კი — საბურთალოს
რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის
თავმჯდომარის ა მ ხ. თ. ქორიძისგან.
რა გამოდის? — საკითხს იხილავენ, იმათ
მუშაობაში ეთვლება, ჩვენ კი იმედი გვიც-
რუვდება. ახლა მხოლოდ შენი ყოვლისშემ-
ძლებობის იმედი გვაქვს, პატივცემულო ნი-
ანგო: დაურღვიეთ მყუდრო ცხოვრება მშე-
ნებელი ორგანიზაციის თავკაცებს, სახაგრო-
მრეწვის № 1 ტრესტის სამმართველოს უფ-
როსს ა. მჭადაძეს. ოღონდ ეს თხოვნა
შეგვისრულე და კოლექტივის თითოეული
წევრი წმინდა სანთელს დაგინთებს მამკო-
დას ეკლესიაში!

კოლექტივის სახელით — დ. გომოლაური